№ 84, აპრილის 21, კვირა. 1866—1885 აპრილი 21, კვირა. № 84.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯიშვილის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ. —4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ —2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. განცხადებანი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაბეჭდილ[illegible] ლობაზედ.

თუ ხელნაწერება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს [illegible]ასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდელ წერილებს [illegible] რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. А. Метцль, Москва, Петровка, № 6.

ვისაც ღლემდე არ შემოუტანია ხვედრი თვისი ვაზეთისა, რედაქცია სთხოვს დაიჩქარონ თკუოლის ვამოგზავნა. (5—3)

ქართული თეატრი

დღეს, აპრილის 21-ს

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგესილი იქმნება:

I

„კინტო“

კომედია სამს მოქმედებად, თხზ. თ. აკაკი წერეთლისა

II

ბნელს ოთახში

ვოდევილი 1 მოქმედებად:

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასწყისი 8 საათზე.

თბილისის გუბერნიის კეთილშობილთ წინამძღოლი

უმორჩილესად სთხოვს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურო, რათა მობძანდეს დღეს, ამა აპრილის 21-ს, დილის 11 საათზედ არა ჩვეულებრივ საგუბერნიო თავად-აზნაურთა კრებაზე, რომელიც მოხსენებული ეთომ ტაშ-ქეპრე შეადგენდეს მოლაპარაკების უმთავრესს საგანს და ინგლისი თანახმა იყოს შეუსრულოს რუსებს თავიანთი სურვილი, ესე იგი გაავლებინოს სამხედრო პარაპამიზის მთების მახლობლად. ამ სახით თანხმობა მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ რუსები დასდებენ პირობას, რომ არასოდეს ჰერათს არ ახლებენ ხელსაო. ჩრდილოეთის საგენტომ გადმოგვცა ეს ამბავი და გვარწმუნებს, ვითომ იგი ეკუთვნოდეს საუკეთესო ინგლისურ გაზეთს ტაიმსს, რომელსაც დიდი გავლენა აქვს მთელს ბრიტანიაში

ინგლისის მმართველობა, რომელიც აქამომდე გაჯავრებულის კილოთი ჰკიცხავდა რუსების მოქმედებას შუა აზიაში და ამბობდა, შეუძლებელია ამტყდარი უკმაყოფილება მშვიდობიანობით გათავდესო, ასე უცებ არ გამოიცვლიდა აზრს. ინდოეთის ვიცე-კოროლმა დეფერინმა გამოუცხადა თავის მმართველობას, რომ თუ რუსეთისათვის რამე გითავაზებიათ ამ საქმეში, მე სამსახურს თავს დავანებებო. ბლადსტონს, ეხლანდელ ბრიტანიის პირველს მინისტრს, საზოგადოებათა პალატაში ბევრი მტერი ჰყავს, და იმისი მოწინააღმდეგენი ყოველ საშუალებას ხმა რობენ—მოუპოვონ რაიმე მიზეზი და მინისტრობიდან გადააყენონ. როცა ბლადსტონმა გამოუცხადა პალატას ას-ათი მილიონი არის საჭირო ანება დამრთეთო, ნუ მკითხავთ, თუ რისთვის მინდა, ან რომელ საქმის მოსახმარებლადო, მთელი ინგლისის ერის წარმომადგენელნი დაეთანხმნენ; არა თუ საწინააღმდეგო კრინტი არავის დაუძრავს, არამედ ენჭიც არ უყრიათ, ისე გადასწყვიტეს და სრული უფლება მიანიჭეს ბლადსტონს, რათა იმოქმედოს იმან თანახმად ინგლისის ინტერესებისა და იმისი თავმოყვარეობის დაცვისათვის. ეს ამბავი ყველამ ფრიად საყურადღებოდ სცნო და თითქმის ომის გამოცხადებას ნიშნავდა.

როცა ამ თხუთმეტის წლის წინედ ხივაში და ბუხარაში ომი ჰქონდათ რუსებს, ინგლისის საზოგადოება მღელვარებდა, რუსებმა მერვი არ დაიჭირონ, თორემ იქიდამ ავღანისტანს დაუახლოვდებიანო. თუმცა თავდაპირველად რუსები აიმედებდენ ინგლისელებს, მერვს ხელს არ ეახლებთო, მაგრამ ამ სამის წლის წინად ბოლიტიკურთა კ თარებათა გამო რუსებმა მერვეც დაიპყრეს. შეიქმნა შფოთი, მუქარა, დიპლომატიური მიწერ მოწერა. ბოლოს ინგლისმა დასთმო მერვეც იმ აზრით, რომ მერ-

წერილი პოლიტიკაზე

თბილისი, აპრილის 21-ს.

უეჭველია, მკითხველი გუშინ მიაქცევდა ყურადღებას ლონდონიდამ მოსულ დეპეშას, რომელშიაც იყო მოხსენებული ეთომ ტაშ-ქეპრე შეადგენდეს მოლაპარაკების უმთავრესს საგანს და ინგლისი თანახმა იყოს

ბიბლიოგრაფია

ამ ორის თვის წინად გამოიცა პარიჟში ერთი წიგნი—სახელად: „Le Caucase et la Perse“ par E. Orsolle. 1885, Paris (კავკასია და სპარსეთი ე. ორსოლის-მიერ. 1885, პარიჟი). ბ. ოსოლს უმგზავრნია ჩვენს ქვეყანაში და სპარსეთში 1882 წელს და ამ მოგზაურობის შედეგად დაუწერია ეს წიგნი. ჩვენს ქვეყანაში მას უვლია ორის გზით: ფოთი-თბილისის რკინის გზით და საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით და რაც რამ საინტერესო შეხვედრია, ის აუწერია. საზოგადოდ კი ქართველობის ხასიათზე და ვითარებაზე რამდენიმე სიტყვა აქვს თქმული. აი, ეს სიტყვები არიან საინტერესონი ჩვენთვის, რადგან ისინი მოიკლიან მთელს ევროპას და გახდებიან ხელმძღვანელოდ ჩვენის ქვეყნის შესახებ. ევროპა თუ გვიცნობს ჩვენ, ამისთანა თვალისგადავლებით გვიცნობს, თორემ ჩვენს მატიანეებს კი არა ჰკითხულობენ.

რა შთაბეჭდილებას გამოიტანს ევროპელი მკითხველი ამ წიგნიდგან? ეთასი რომ კარგი რამაც ეწეროს ჩვენზე, მკითხველი, რომელსაც საშინელებად მიაჩნია ჩვენი ქვეყანა, უფრო ავს მხარეს შენიშნავს, ვინემ კარგს. მაგრამ კარგიც ძალიან ცოტაა მასში თქმული, ასე რომ ეს წიგნი სრულიად ვერ შეარყევს ევროპიელების ცრუ შეხედულებას ჩვენს ერსა და ქვეყანაზე. ამ შეხედულობის გამოსაცვლელად და მათში ჩვენდამი სიმპატიის გამოსაწვევად იმდენისვე წიგნის დაბეჭდვაა საჭირო, რამდენიც ჩვენთვის უსიამოვნო დაწერილა. ამის საჩვენებლად ჩვენ ამოვწერთ რამდენსამე ალაგს.

თბილისის აღწერილობაში, აი, რას ამბობს ქართველებზე:

„ქართველები შეადგენენ მცხოვრებლების უმრავლესობას; უმეტესობა კეთილშობილები და ღარიბები არიან და ეს არის ერთად-ერთი ხასიათის ხაზი, რომელიც მათ აახლოვებს ესპანიელებთან. როგორც ისინი, ისე ესენიც არიან ამაყნი, სულ-დიდნი, და თავიანთ ქონებისა და სისხლის ადვილად დამთმობნი, მაგრამ ამ თვისებებთან მეტის-მეტად უყვართ სმა და სიზარმაცე. სძაგთ ყოველ-ნაირი შრომა, იარაღის ხმარების გარდა. თუ ღარიბია, ქართველი ცხოვრობს ისე, როგორც შეუძლიან, ესე იგი ძალიან ცუდად; თუ მდიდარია, განცხრომისა და სიამოვნების სიყვარული იტაცებს მას ხშირად თავის შეძლების გარეთ და ხელში უგდებს ხარბს მოვახშე

ოლადსტონ

ეს ორი ამონაწერი ალაგი, სწორედ გითხრათ, მარგალიტები არიან. იმათგან დაინახავს ევროპიელი, რომ ქართველები სრულიადაც არა ყოფილან მოქალაქობრივის ცხოვრების ხალხი. მოქალაქობრივობის უმთავრესს საფუძვლად ევროპაში მიაჩნაათ: შრომა, სიცოცხლისა და საკუთრების პატივისცემა. ავტორის აზრით კი ქართველები თუმცა ნიჭიერები და სიმპატიურნი არიან, მაგრამ არც შრომობენ, არც სიცოცხლეს ინდობენ და არც საკუთრებას სცემენ პატივსა.

ორსოლი რომ გერმანიელების (allemands) კოლონიებზე ლაპარაკობს, აი, რას ამბობს:

„გერმანიელთ სოფლები ყველანი წარმატებულები და აყვავებულები არიან: მათი მცხოვრებლების რიცხვი, კეთილდღეობა ყოველს წელს მატულობს, როდესაც რომ დაუდევარი მეზობლები რჩებიან თავიანთ მამაპაპეულს უმეცრებასა, გაუგებლობასა და უწმინდურობაში. ესენი იმდენად ზარმაცობენ, რომ ბაძვითაც ვერ ბაძვენ გერმანიელებს, რომელთ კეთილდღეობა შურთ და ამ შურით კმაყოფილდებიან.“ (იხ. გვ. 47).

ორსოლი თუმცა ქართველებს ზარმაცებს გვიძახის, მაგრამ ერთს ალაგს ისეთს რასმე ლაპარაკობს, რომელიც

ვიდამ ჰერათამდე დიდი მანძილია, უდაბნო სივრცეები ჰყოფენ რუსეთისა და ავღანის სამფლობელოებსა და მომავალში რუსები წინ ველარ წაიწევენო. მაგრამ აღმოჩნდა საჭიროება და რუსებმა კიდევ გადადგეს რამოდენი ნაბიჯი და დაუახლოვდენ ავღანის ჩრდილოეთის სამზღვრებს; ამასთანავე მოუხდათ შეტაკება ინგლისის მომხრეებთან — ავღანელებთან და ფიცხი ბრძოლის შემდეგ მტერი დაამარცხეს ათას ხუთასამდე კაცი მოუკლეს და დაუჭრეს ავღანელებს. ეს ამბავი მოხდა სწორედ იმ დღეებში, როცა ავღანის მბრძანებელი აბდურახმანი სტუმრად იყო ინგლისელებთან და მისცა პირობა ერთგულობისა და იმათთან თანახმად მოქმედობისა. — თუმცა გლადსტონი დიდი მომხრე და მეგობარია რუსეთისა, მაგრამ ამ ამბავმა ისე აალელვა იგი, რომ საქვეყნოდ გამოაცხადა: ჩვენ შევსძლებთ ღირსეულად დავიფაროთ ჩვენი შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა, ჩვენ აღვასრულებთ აბდურახმანს იმ პირობებს, რომელნიც იმისთვის მიგვიციაო. ინგლისის საზოგადოების აზრი ის იყო, რომ კომაროვის მოქმედებამ უნდა დაუდვას სამზღვარი ჩვენს მოთმინებას და თავაზიანობასაო.

შევადაროთ ეხლა ზემოხსენებულნი ვითარებანი გუშინდელ დეპეშას, რომელიც გვაუწყებს რომ ინგლისი რუსეთის პირობებზე თანხმდებაო: მდინარეთა კუშკისა და ჰერი-რუდის შორის გადაჭიმულია პარაპამიზის ქედი, რომელსაც აქვს მიმართულება აღმოსავლეთისაკენ. ამ მთის სამხრეთით მდებარეობს ჰერათი. რუსეთის სურვილი არის, გაავლოს თავისი სამზღვარი პარაპამიზის მთების მახლობლად ჩრდილოეთის მხრით, პარაპამიზის მთა ჰერათის კედელია ჩრდილოეთის მხრითვე; თუ დავუჯერებთ გუშინდელ დეპეშას, ინგლისი უთმობს რუსეთს მრთელს ქვეყანას, რომელიც გადაჭიმულია მდინარეთა მურღაბის და ჰაერი-რუდ შუა მერვიდამ პარაპამიზის ქედამდე, ესე იგი ჰერათის კედლამდე. მაგრამ ამ კედელში ისეთი ალაყაფის კარებია, რომელშიაც, თუ საჭიროება მოითხოვს, ადვილად შევა მტერი. ამ ალაყაფის კარებს შეადგენს ზულფიგარის ხეობა, რომელიც მიდის ჰერი-რუდის, მარჯვენა ნაპირზე. — ცხადია, ზულფიგარის გასავალი ისეთს სტრატეგიულს პუნკტს შეადგენს, რომ ჰერათს, როგორც ავღანისტანის სიმაგრეს, დაეკარგება ყოველი მნიშვნელობა, რადგან ზულფიგარის დაპყრობა თითქმის ჰერათის დაპყრობას ნიშნავს. ინგლისელებმა ყური გამოუჭედეს ქვეყანას, ჰერათი ინდოეთის გასაღებიაო. გუშინდელი დეპეშის აზრი ის არის, რომ ინგლისი უთმობს თავის მოწინააღმდეგეს ამ გასაღებსაო(?).

ამ მოკლე ხანში ინგლისი ორჯერ იქმნა დამარცხებული; ერთი ბისმარკისაგან კოლონიალურს პოლიტიკაში, მეორე მაჰდისაგან აფრიკაში, რომელსაც ავღანის საქმის გამო უკვე თავი დაანება და იტალიელები მიუსია. თუ ავღანის საქმეშიაც მოიქცა ინგლისი ისე, როგორც გუშინ გვაუწყეს – ეს ისეთი დამარცხება იქმნება, რომლის მზგავსი ინგლისს არ მოსვლია ამერიკის შტატებთან ბრძოლის შემდეგ: რა თქმა უნდა ამის შემდეგ „ნისლიან ალბიონის“ მნიშვნელობა დაეცემა მრთელს ქვეყანაში დასაჯერებელი არ არის, რომ ეგრეთი შორს განუმსჭვრეტლობა გამოიჩინოს პოლიტიკაში ასე დახელოვნებულმა ინგლისის ერმა.

შინაური ქრონიკა

⊖⊖⊖ ევროპიელი მწერლები უფრო და უფრო აპყრობენ თავიანთ ყურადღებას ჩვენს ცხოვრებას და ლიტერატურას. ბ. არტურ ლეისტი, რომელიც შარშან კავკასიაში მოგზაურობდა, დრო-გამოშვებით ჰბეჭდავს თავის წერილებს კავკასიის ლიტერატურაზედ ერთს ნემეცურს საკვირაო ჟურნალში. იგი აღტაცებით ლაპარაკობს იმ გონებითს მოძრაობაზედ, რომელიც დაეტყო კავკასიას და ამ წლის ნაწარმოებთა შორის ქართულ ლიტერატურაში ღირსეულად იხსენიებს აკაკის „თორნიკე ერისთავს“. ეს პოემა, ლეისტის სიტყვით, „შეეხება საქართველოს წარსულიდამ ამოკრეფილს საგანს და, ჩვენდა უნებურად, გადავყევართ იმისთანა აღელვებულს დროში, როდესაც ჯერ კიდევ ნამდვილი ქრისტიანური გრძნობებით გატაცებული კაცნი სცხოვრობდენ. ამისათვის წერეთლის პოემა თითქოს „ბიბლიურად“ ჰხიბლავს კაცს და წინ გადაგვიშლის მრავალს სურათს საქართველოს სახელოვანი წარსულისას“.

აგრეთვე დიდს ქებას უძღვნის ავტორი მოჩხუბარიძის მოთხრობებს და ჰპოებს ორგვარს [illegible] მრავალი ეთნოგრაფიული [illegible] გაბნეული და არც პოეზიას არიან მოკლებულნიო. ლეისტს მოჰყავს ერთი ადგილი „ციკოდამ“, სადაც კავკასიის დიდებული ბუნებაა აღწერილი და ბოლოს ამბობს: „მკითხველი აქედამ დაინახავს, თუ როგორ გადმოგვცა ავტორმა ქართველების გულში ჩანერგილი სიყვარული ბუნების მშვენიერებისა. ზოგიერთა ნაკლულევანებების მიუხედავად, ეს აღწერილობა უფრო აცხოველებს და აღვიძებს ადამიანს, ვიდრე ჰაერ-განუსახლებელი ევროპიული რომანები“.

⊖⊖⊖ ეს რამდენიმე წელიწადია, რაც დაიწყეს დუშეთში ეკლესიის აგება და, როგორც იწერებიან, საქმე კიდეც შეუსრულებიათ და მაისის 9-ს უნდა აკურთხონო. ეკლესია მშვენიერ ქართულ გეგმაზე არის აშენებული და შიგ ტაძრის კედლებზე გამოხატულია ქართველი წმინდანნიო. ეს სურათები თავის საფასით დაუხატვინებიათ ივ. მუხრან-ბატონს და ამისათვის დაუხარჯავს 4,000 მ. ამ საუკუნეში საქართველოში აშენებულ ეკლესიათაგანი ვერც ერთი ვერ შეედრება დუშეთის ახლად აგებულს ტაძარსაო.

⊖⊖⊖ „ვისრამიანის“ გამოცემის რედაქციას აქა-იქ მოკითხულობის შემდეგ ამ ჟამად ეს ცნობა მოუპოვია შესახებ ნემეცურის თარგმნისა, რორომელსაც იხსენიებს ქართულის გამოცემის წინასიტყვაობა.

პირველი ცნობა ნემეცურ ენაზე აღმოჩნდა 1854 წელს „ნემეცურ

უარს ჰყოფს მის აზრს. ქუთაისის აწერილობაში ამბობს:

„ეს დუქნები ერთსა და იმავე დროს სახელოსნოებიც არიან და მაღაზიებიც; ვაჭრები და მათი თანაშემწეები აკეთებენ გამვლელ-გამომვლელების თვალს წინ თავიანთ ხელობის ნივთებს და ფრიად გასაკვირველია ნახვა იმ ხერხისა, რა ხერხითაც სრულიად პირვანდელის სიმარტივის იარაღს ხმარობენ“ (იხ. გვ. 31), ნუთუ ზარმაცი ხალხი მიაღწევს იმ ხერხამდის, რომელიც ასე უკვირს ბ. ორსოლს.

ორსოლი ჩვენს ერს თითქმის არაფრით არჩევს კავკასიის სხვა ხალხებისაგან და უცხოს ეგონება, რომ ქართველები ისეთივე ხალხია, როგორც სხვა კავკასიის ტომები. არც ჩვენს ისტორიაზე ლაპარაკობს, არც კულტურაზე, არც ლიტერატურაზე და არც გონებრივს მოძრაობაზე. მარტო, თითქო შეცდომით მოსვლიაო, ერთი ტაეპია, რომელიც ჩვენს მწერლობას და გონებრივს მოძრაობას შეეხება. აი, ეს ალაგიც:

„პირ-იქით ქართველი ქალები ევროპიულის ენების და მეცნიერების შეთვისების დიდს ნიჭს იჩენენ; წმ. ნინოს ინსტიტუტში, რომელიც ღიაა ქრისტიანობის ყველა აღსარებათათვის, წლითი წლობით მატულობს მოსწავლეთა რიცხვი. იმერეთის ძველი სატახტო ქალაქი დღესაც ქართველის ერის ერთი გონებრივი ცენტრთაგანია. რომის კათოლიკე მრევლს იქა აქვს ერთი სკოლა და მთავრობამაც დააფუძნა ერთი დიდი სემინარია(?). ქართველები მაინც ყოველთვის თავის თქმულებების მოსავნი ყოფილან. მეთორმეტე საუკუნიდგან, რომელიც, შესანიშნავია რუსთაველის ეპოპეით — „ვეფხის ტყაოსანით“ და მათი ლიტერატურის ოქროს ხანაა, პოეზია ყოველთვის დიდს პატივში ყოფილა. არ არის ერთი ქართველი, თუნდა წიგნის უმეცარიც, რომელმაც ზეპირად არ იცოდეს ორბელიანის, წერეთლის, ერისთავების, ბარათაშვილის და მეტადრე თავადის ჭავჭავაძის, ამ კავკასიის ბერანჟეს, რომელიმე პოემა. ჟურნალ-გაზეთები უფრო-და-უფრო ვრცელდებიან; დროება, ყოველ-დღიური გაზეთი; იმედი, დრო-გამოშვებითი ჟურნალი; ივერია, თვიური მიმოხილვა, ყველაზე მეტად არიან ცნობილნი. ჩვენ გვითხრეს ქუთაისში, რომ გიმნაზიის ერთი მასწავლებელი სთარგმნიდა მოლიერის კომედიებს, მეორე კი სამეცნიერო თხზულებებში სახმარებელს ტეხნიკურს სიტყვებს იძიებს“ (გვ. 33).

საკვირველია, ღმერთმანი, ის ერი, რომელმაც ზეპირად იცის რუსთაველის, ორბელიანის, წერეთლის, ერისთავების და მეტადრე თავადის ჭავჭავაძის (ალექს. თუ ილია?) პოემები, როგორ უნდა იყოს ისე დაცემული, რომ არც შრომა, არც საკუთრება და არც მოყვასის სიცოცხლე არ მიაჩნდეს? ერთის მხრით ორსოლი ხატავს ქართველობას ისე, თითქოს განვითარების უმაღლესს ხარისხზე მისულიყოს, როდესაც ამისთანა ზნეობისა და საზოგადოებრივის ცხოვრების მოძღვრები, როგორნიც არიან მისგან ხსენებული პოეტები, პირ-და-პირ ხალხს ელაპარაკებიან და ხალხიც პირ-და-პირ ეწაფება მათ მოძღვრებას; მეორეს მხრით იგი ხატავს ქართველებს ბარბაროსებად.

ვერაფრად კარგად იხსენიებს ბ. ორსოლი ჩვენს თავადობას. იმის თქმით ჩვენი თავადები რაღაც ეგოისტები და ქვეყნის ინტერესების უარმყოფელები ყოფილან. აი, რა რიგად იხსენიებს მათ ერთს ალაგს:

„გონებრივს მოძრაობას მოჰყვა ერთგვარის ეროვნულის გრძნობის გაღვიძება. რამდენიმე გატაცებული პირები ჰფიქრობენ სხვა-და-სხვა ქართველის მოდგმების შეერთებას... რაღა საჭიროა ითქვას, რომ ეს აზრები ოცნებად დარჩებიან? მათი განხორციელება იქნებოდა უბედურებად თვით საქართველოსთვის, რომელსაც თავადების გვარების ქიშპობა ძლიერ მალე ჩააგდებდა სამოქალაქო ომებში, რომელთაც ამდენი ფურცლები უჭირავთ მის ისტორიაში.“ (იხ. გვ. 33).

ამოწერილს ალაგებში მდგომარეობს ბ. ორსოლის წიგნის უმთავრესი ინტერესი. ჩვენ ვფიქრობთ, ავტორი რომ პატარა დიდხანს დარჩენილიყო ჩვენს ქვეყანაში, მიეხედ-მოეხედნა, დაჰკვირვებოდა ჩვენს ხალხს, მაშინ სულ სხვა კილოთი დასწერდა და სულ სხვა ფაქტებს შეატყობინებდა ევროპას. ამასთან საჭირო იყო, რომ ის თავისუფალი ყოფილიყო გარეგანის გავლენისაგან. იმისთანა მგზავრებისაგან, რომელნიც ჩვენს ქვეყანას რკინის გზით სიარულის დროს სწავლობენ, ჩვენ უფლება არა გვაქვს, რომ მეტი მოვითხოვოთ. ისინი ყოველთვის იმას დასწერენ, რასაც სხვები ეტყვიან და ეგ ყველამ იცის ჩვენზე ვინ რასაც ამბობს.

დ. გ—შვილი.

1885 წ. აპრ. 8/0.

პარიჟი.

აღმოსავლეთის საზოგადოების ჟურნალში„‘ რომელიც ლეიპციგში გამოდის (Zeitschrift der deutschen Morgenländischen Gesellschaft, ნახე გვერდი 608). ეს პატარა შენიშნვაა იმის თაობაზე, რომ ინდოეთშისპარსულ ენაზე აღმოჩენილა ძველი შესანიშნავი თხზულება ფაჰლაურის ენიდგან თარგმნილიო, სახელად ვის და რამინი (Waisund Ramin).— შემდეგ ამავე ჟურნალში 1869 წელს დაიბეჭდა ერცელი წერილი ბატონის ბრავისა (K. H. Graf) სახელად Wis und Râmin, (იხ. გვერდი 375). ეს უკანასკნელი წერილი შეიცავს 58 გვერდს, წვრილად და მჭიდროდ დაბეჭდილს. ბატონს ბრავს მოხსენებული აქვს შემოკლებით შინაარსი ვისრამიანისა და შიგა-და-შიგ ზოგი ადგილები ლექსად თარგმნილი ნამდვილის თხზულების სისრულით; ბრავი ამბობს, რომ მრთელი თხზულება შეიცავს რვა ათასს ორს სტრიქონიან ლექსსაო, მისი სრულად დაბეჭდვა მკითხველისათვის მძიმე იქნებოდა და ამიტომ ვამოკლებო. სასურველი იქნებოდა, რომ ნემეცურის მცოდნეთ ამ ორთავე წერილების თარგმანი გადმოეცათ ქართველ მკითხველებისათვის და „ივერიის“ რედაქციას არ დაეშურა მისთვის თვისი ფურცლები. ზემოხსენებულის ნემეცურის ჟურნალის ადვილად მოპოებისათვის ვიტყვით, რომ თბილისის საპუბლიკო ბიბლიოთეკაში იპოვება ნომრებით 1854 წლისა № 525 და 1869-ისა № 831.

◦◦◦ სამხრეთ-ოსეთიდამ გვწერენ: „საშინლად ეკიდებიან ბორის მაზრის ოსები ტყეს. უმეტესად ამ გაზაფხულის დამდეგიდამ ყველა ახოებს აშენებს და წინად მშვენიერი ტყეები ეხლა ოლრო-ჩოლრო მინდვრებად იქცნენ. „აბიესჩიკები“?!... „ტყის მცველები“?!...“

◦◦◦ იქიდამვე გვწერენ: მესამედ დაგვიდგა ზამთარი. ამ აპრილშიაც მოვიდა ჩვენში კარგა დიდი თოვლი. მოსავალი, განსაკუთრებით ხილი, კარგს იმედს გვაძლევს, თუ მომავალმა არ გვიმტყუნა.

◦◦◦ ბაზ. „მწყემსი“ თავის მოწინავე წერილს უძღვნის ძმათა ძირილე და მეთოდეს, სლავიანთა განმანათლებელთ და განმარტავს, თუ რად ჰქონდა ამ წმიდათა ქადაგებას უალრესი მნიშვნელობა. უმთავრეს მიზეზად „მწყემსი“ ჰხადის იმ გარემოებას, რომ ისინი წმინდათა სლავიანთა დედა-ენაზედ ჰქადაგებდენ. „ყოველი ხალხისათვის უძვირფასესს კუთვნილებას შეადგენს მისი დედა ენა—ამ სიტყვებით ათავებს წერილს „მწყემსი“—არაფერი არ შეაწუხებს კაცის გულს ისე, როგორც მისი ღვიძლი, დედა-ენის შეურაცხყოფა. არაფერი არ ამხიარულებს ხალხს ისე, როგორც მისი დედა-ენის აღდგენა, დედა-ენაზე ლოცვა და ღვთის ვედრება. აი, სწორედ ამით აიხსნება ასე აღტაცებითი დღესასწაულობა წმიდათა ძირილე და მეთოდის ნეტარი განსვენების მოგონებისა ათასი წლის გასვლის შემდეგ“...

დავა შუა აზიაში

◆◆ Times-ი, ლორდ ბიკონსფილდის გადაცვალების დღეობის გამო, იგონებს ბრწყინვალე დროს ამ შესანიშნავის სახელმწიფო კაცის პოლიტიკისას საშუალო აზიის საქმეში, იმ პოლიტიკისას, როდესაც ინგლისს ხელთ ჰქონდა დროებით მფარველობა ყანდაარზეო. ეს მაზრა რომ ინგლისს ჰქონდეს ამ ჟამად ხელშიო, ამბობს Times-ი, მაშინ ჰერათს იმის ნახევარი მნიშვნელობაც არ ექნებოდა, რაც ამ ჟამად აქვს ამ ქალაქსაო, ბრიტანიის მმართებლობაც დამშვიდებული იქმნებოდა და აღარ შეაფიქრებდა მას ინდოეთის ბედიო.

◆◆ Central News-ს სარწმუნო წყაროთაგან შეუტყვია, რომ პირველი დეპეშა რუსის მმართებლობისა ვერავითარს დამამშვიდებელს ხასიათს ვერ აძლევს რუს-ინგლისის შუა ამტყდარს დავასაო; ეს დეპეშა პარასკევს საღამოს მიიღო ბრიტანიის კაბინეტმაო. შაბათს კიდე სხვა დეპეშები მოვიდა და ამათი პირი გაეგზავნა ყველა მინისტრებს. როგორც სჩანსო ამ ცნობებიდამ, რუსეთს არა ჰსურს არავითარი დათმობა, და სარგებლობსო თვისის მდგომარეობით, ე. ი. ჯარების ჩაყენებით საშუალო აზიაში. ამ გვარად საქმის მსვლელობა თან-და-თან უფრო მცირე იმედს იძლევა დავის კეთილად გათავებისათვის. ამის გამო ბრიტანიის მინისტრნი შაბათს და კვირას ქალაქს გარედ არ გასულან, რომ მზად იყვნენ ყოველწამს მოსალოდნელის რჩევისათვის. კვირას საქმე უარესად დატრიალდა და ამის მიზეზი რუსის მინისტრის ბირსის განმარტების კილო იყოო.

◆◆ კონსერვატიულის დასის მეთაურს მარკიზ სალისბიურის, სხვათა-შორის, შემდეგის სიტყვებით მოუმართავს ამომრჩეველთა კრებისათვის: „ღღეს აღარვინ ეკვობს, ყველა ცხადად ხედავს—თუ რა სწადიან რუსეთს; მას ჰსურს ისეთს ყოფაში ჩაადგოს ინგლისი, რომ სტამბოლიც-კი დაუთმოს. ჩვენ ვერ დავენდობით რუსეთის რწმუნებასა და პირობას. მოვიგონოთ ქასპიის ზღვა, ძივა და მერვი. ჩემის აზრით, რუსეთს. არ უნდა მოესთხოვოთ არავითარი პირობა, რომელსაც იგი მაინც არ შეასრულებს და საბოლოოდ განეუცხადოთ, რომ ესა და ეს ადგილი ინგლისის მფარველობის ქვეშ ითვლება, ჩვენის სტრატეგების აზრით; რომ მან ფეხი არ გადასდგას ამ ადგილებში, თუ არა და ჩვენ არ დავზოგავთ არც სისხლს, არც ფულს, რომ განვდევნოთ იგი დაჭერილის ადგილებიდამ“.

◆◆ აპრილის 10-ს (20-ს) ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს ლორდ-ბრენვილს გრძელი ბაასი ჰქონია იტალიის ელჩთან, შემდეგ ოსმალოს ელჩთან მუსურუსთან და ჰსან ფაშასთანაც.

◆◆ ინგლისის გაზეთებში დაბეჭდილია ბრიტანიის სამხედრო მინისტრის ბრძანება, რომლითაც უნდა მოგროვდეს სამუდამო სამსახურისათვის პირველი რიგი ინგლისის არმიის; ბრძანებაში ნაჩვენებია ადგილები, სადაც ეს ჯარი უნდა შეგროვდეს და ის საწყობნიც, საიდამაც ახალი ჯარი მიიღებს ყოველ-გვარს საომარ იარაღს და სხვა მასალას.

◆◆ კალკუტადამ ტელეგრამით აცნობებენ Times-ს: „დიდი შეცდომა იქმნება, რომ რუსეთს პენჯდე დაეთმოს, რადგან ამ ადგილის დაპყრობით ისინი ბადახშანიდამ მოსჭრიდენ ჰერათს და ზამთრის თვეებში სრულებით მოსპობდენ მიმოსვლას ავღანის მურქისთანისა და ქაბულის შორის. ამას გარდა რუსებს ამის შემდეგ შეეძლებათ ქაბულშიც გადავიდენ ბამიანის გასავლით და—წარმატებით იმოქმედობ მდ. მურღაბის სათავესთან და ბუზარის მიდამოზე.“

◆◆ Daily News-ს დეპეშით აცნობებენ ვენიდამ: „აქ დარწმუნებული არიან, რომ რუსეთს ჰსურს ომი და თუ ომის გამოცხადება გვიანდება, ამის მიზეზი შეიარაღების დაუსრულებლობაა. სუდანიდამ ინგლისის ჯარების გამოხმობა ამტკიცებს, რომ ინგლისსაც არა აქვს იმედი მშვიდობიანობის დაცვისა. სპარსული გაზეთები იწერებიან, რომ თუ ომი ასტყდა, ემირი ხან-გამოშვებით ჩავა ხოლმე მაიმენეში, სადაც იქმნება უმთავრესი სადგური. ავღანის ჯარი დაიჭერს მთელს ხაზს ჰერათიდამ მაიმენემდე და ბალხამდე, ასე რომ მარცხენა ფლანგი დაიცავს ჰერათს, მარჯვენა-კი ბალხას. უმთავრესი ძალა მაიმენეში იქმნება დაბანაკებული, რომელიც შუა გზაა ჰერათისა და ბალხის შორის. მაიმენეში დაბანაკებულ ჯარს მერვი ექმნება სახეში და ბალხაში—ბუხარა. ქაირში ისმის ხმები, რომ ინგლისის ჯარი მხოლოდ ქვემო-ეგვიპტეში დარჩებაო და დელტაში, თუ ომი ატყდა; ზემო-ეგვიპტეში-კი მეციხოვნე-ჯარებად ოსმალოს მხედრობა დარჩება ინგლისის ჯარის მაგივრად.“

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

აპრილის 19-ს

ლონდონი. გაზეთები იწერებოდენ და ფიცქორასმაც განაცხადა პარლამენტში, რომ რუსებმა მერუჩაკი დაიჭირესო; ამის გამო ლორდთა პალატაში ლორდ გრენვილმა განაცხადა, რომ რუსის მმართებლობამ პარფენი[illegible] ოცის თვისის ჯარის[illegible] [illegible] წასვლაზედ და რომ [illegible] [illegible] რომელმაც გვაცნობა რუსებისაგან მერუჩაკის დაჭერა, შემდეგ თვით გაამტკიცა თავის მოხსენება.

Pall Mall Gazette ი დაბეჯითებით ამბობს, რომ ავღანის საზღვრის საქმე გადაწყვეტილიაო; საზღვარი გაეგანილი უნდა იქმნეს ზულფიკარასა და მერუჩაკის ჩრდილოეთით.

Daily News-ი აცხადებს, რომ ინგლისს არ დაუჭერია ნავთსაყუდარი ჭალალტონი, მხოლოდ ამ ნავთ-საყუდრის მახლობლად სდგასო ბრიტანიის კრეისერი.

ინგლისის ნავსანობის სამმართველო (ადმირალტეისტვო) აცხადებს, რომ მზად არისო ცხრა დიდი ხომალდი, რომელთაგან თითოს ათასი კაცის გადაყვანა შეუძლიაო.

ვენა. ავსტრიის იმპერატორმა, გრაფ ტაფეემ და შაბის წარმომადგენელმა (ნუნციამ) პატივისცემით მიიღეს გლეიციიდამ მოსული რუმანიის დეპუტატი, რომელიც უჩივის იეზუიტებს ამათს საეკლესიო საქმეში გარევისათვის. დეპუტატის დაკმაყოფილებას დაპირდენ.

ბირჟა

პეტერბურგი აპრილის 19.

100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— —	$23^{3}/_{8}$, $23^{17}/_{32}$ $23^{3}/_{8}$
100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— —	$199^{1}/_{2}$, 200
100 მან. კურსი სამის თვით პარიუზე — —	247, $247^{1}/_{2}$
ბოლუიმპერიალები —	8 მ. 42 კ. გაუ.
ტამოუნის კუპონები —	8 მ. 39 კ. გაუ.
ვეცხლის მანათი —	1 მ. 35 კ. გაუ.
ბირუის დისკონტი— —	6 და 7%
5% ბილეთები აღმოსავლეთის სესხისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — —	$97^{1}/_{4}$ მ. გაუ.
მეორე გამოცემისა —	96 მ. 87 კ. გაუ.
მესამე გამოცემისა —	$96^{1}/_{2}$ მ. გაუ.
5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა —	$214^{1}/_{2}$ მ. გაუ.
5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა—	$203^{1}/_{4}$ მ. გაუ.
ოქროს რენტა — —	202 მ. გაუ.
თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — —	. . . . .
ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც.	. . . . .

„დროების“ ფოსტა

—

მ—ბი ჩ—გ—ძეს; გ—ს, ა. კ—ბ—ძეს; ე—ს, მ. გ. კ—ბ—ძეს; ხ—ს, დ. ბ—ტ—ძეს; რომანოზს; თქვენი წერილები და ლექსები არ დაიბეჭდება.

ს—ნს წერილი კუდიანეთიდამ ვერ დაიბეჭდება.

ს. მ—ს, შაშას. ერთხელ დაბეჭდილს ვეღარ გავიმეორებთ. ლექსებს ნელარ გამოგვიგზავნით ხოლმე.

ა—ნ—ს, ბ. ი—რ—ძეს. თქვენი წერილი „ნობათის“ რედაქციას გარდავეცით.

ნ—ძეს. თქვენგან აღწერილს ბირს ადვოკატები იქნება სასამართლოში გამოადგეს; რედაქციას სასამართლოდ ვერ გადავაქცევ.

ცნობანი

საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ექიმები:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კოროლნა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიქ-ფარსადაგოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბებიები:

ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

ბაგინოვისა, ორშაბათობით და პარასკევობით.

სტეფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქშისა, ხუთშაბათობით და კვირაობით.

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სასოფლოდ 4 აპრილისა 1866 წლისა, ავადმყოფნი მიღებენ დილის 8 საათიდან 12 საათამდის.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავადმყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი — 8 საათიდან 9 საათამდის საბუთია, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის; საწამლებლად ბენკლევსკი — 10—11 საათამდე — საჯარურგო, სიფილისის ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კოროლნა ორშაბათობით, სამშაბათობით, სუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე სარურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლაზოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც საძკურნალოდან ბარათი ექმნებათ.

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 აპრილიდამ 1 მაისამდე 1885 წ.

გამომცხვარი შური რუ			
სეთის ფქვილისა —	—1	გირ.	5 ჯ
ქალურის ფქვილისა: ჰ რ-			
ბელის სარისხისა —	—1	ბ.	2½
მეორ სა — —	—1	ბ.	2 ჯ
იმავე ფქვილისა თორნეში გამ-			
ცხვარი:			
პირველი სარისხის	—1	ბ.	4½
მეორ სა — —	—1	ბ.	3 ჯ
მესამისა — —	—1	ბ.	2½
ჯვარის-მამის ბური:			
პირველის სარის ფაფაში	1	ბ.	4½
მეორის სარის. ფაფაში	1	ბ.	3½
მესამისა — —	—1	ბ.	3 ჯ
ძროხის ხორცი:			
პირველის სარისხისა	—1	ბ.	9 ჯ
ქეორისა — —	—1	ბ.	8 ჯ
სუკი — — —	—1	ბ.	16 ჯ
ცხვრის ხორცი —	—1	ბ.	10 ჯ
ღორის ხორცი:			
პირველის სარისხისა	1	ბ.	
მეორისა —	—1	—	ბ.

რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის 8 საათზე და 31 წამ. დილით.

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 10 საათზე და 45 წამზე დილით. (სამშაბათობით და შაბათობითსაქროლ 10 ს. 58 წ ღამით)

ქუთაისიდამ თბილისისკენ 12 საათზე და 25 წამ. შუადღის უკან.

ქუთაისიდგან ბ თუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მოსავალი თბილისში შემოდის 10 საათზე და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მოსავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით

ბაქოდამ მოსავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (სამშაბათობით და პარასკევობით საქროლ 7 ს. 53 წ. დილ.)

განცხადებანი

სახელმწიფო ბაღში

„მუშტაიდში“

მუდამ სალამოს, კარგს ამინდში, ამ აპრილში და მაისშიაც დაუკრავს სამხედრო მუსიკა. (4—1)

თბილისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო განკისაგან

ზედამხედველი კომიტეტი თბილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა აცნობებს ყველა წევრებს—დაძაარსებელთ და მოვალეთ ბანკისას, რომ ბანკის წესდებულებათა 82 §-ის ძალით ამა მდგომარე წლის აპრილის 27-ს არწრუნისეულ თეატრის ზალაში დანიშნულია ბანკის ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც უნდა განხილულ და დამტკიცებულ იქმნენ შემდეგი საგნები:

1) ანგარიში წარსულის 1884 წლის ბანკის მოქმედებისა.

2) 1885 წლის ბანკის მმართველობაზე ხარჯის განხილვადა დამტკიცება.

3) მოხსენება შესახებ არწრუნისეულის ქარვასლის და ბაღის ბანკის საკუთრებად შეძენისა.

4) მოხსენება იმ ქონებათა შესახებ, რომელნიც ბანკს დარჩა.

5) მოხსენება საზოგადოდ სხდომებში მონაწილეობის მისაღებად ექილობათა შესრულებისა და წარმოდგენის შესახებ.

6) მოხსენება იმ საგნის შესახებ, რომ ბანკის მოქმედება გაერცელებულ იქმნას ქალაქს ბათუმშიაც.

7) მოხსენება დამფასებელთა და მათის კანდიდატების აღმორჩევის წესის შესახებ.

8) ამორჩევა რიგისამებრ გამოსასვლელთ ბანკის მმართველობისა და დამფასებელ კომისიის თავმჯდომარეებისა.

9) ამორჩევა ზედამხედველის კომიტეტის წევრისა.

თავმჯდომარე ზედამხედველის კომიტეტისა
თ. ი. ანდრონიკაშვილი.
(4—2)

ქუთაისში,

ივანე ნიკოლაძის მემკვიდრეთა მაღაზიაში ისყიდება ყოველ გვარი საქონელი, სხვებთან შედარებით იაფად. მაღაზია იმყოფება ბულვარის პირდაპირ საკუთარ შენობაში. (14—9)

ინგლისური რკინის კრაოტები



ერთის საწოლი 6 მანათიდგან, და ორის საწოლი 10 მანათიდგან; მათი ფეიბენი, ზღვის ბალახით გატენილი 4 დგან 8 მანათამდის. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად. ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიას მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საგარაქე, საშაქრე, ყოვნები, შეფიდ დის დანები ჩანგლები, სამართებლები, დასადგმელი ბირის სასანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწვეთო, რიუმკები, საქაშური, თეფშები, ბალიუდები, სასალათეები, ტაშტები სარეკეები, სამარილეები, გარჩიტის სიფსეები, ბრაბგის ამოსადები, ბრაბგები, კლიტეები, გასალებები, კრანტები, ადგირები, ლამპატები, ტანისამოსის დასაკიდებლები, სასალო მაგრატლები, ვაქეები, უთოები, წისქვილები, სერსები, ქალიბები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, ბიქები, ზარიანდები, კაბსიულები, სიფსგები, ნიჩბები, ვატერბრუნჭი, საბნები, ჩუქჩები, წინდები, სუფრები, სალფეტკები, რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, კიბულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დამაკიტონები, ბომბეი და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში არწრუნისეულს ქარვასლაში № № 95, 94, 93, 91, და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩაის მაღაზია თბილისში. (100—18)

გრ. ჩარკვიანის

ქართული წიგნის მაღაზიაში

ისყიდება

ყოველ-გვარი ახალი გამოცემული ქართული წიგნები. თბილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ძმ. მესხიევების შენობაში (3—2)

ასალი მცირე მუდმივ-მოქმედი ავეჯი იაფად

მიიღო

ოქრის შედ'ა 1878 წლის გამოფენაზედ

მუდმივ-მოქმედი ავეჯები

შუშხუნა სასმელების გასაკეთებლად:

ზელტერის წყლის, ლიმონადისა, სოდისა, შუშხუნა დვინოებისა, ლუდისა.

სიფონები დიდებიც არის და პატარებიც; ადვილი გასაწმენდია

J HERMANN—LACHAPELLE

J. BOULET et C-ie, Successeurs Ingénieurs Constructeurs.

RUE BOINOD, 31—33(Boulevard Ornano, 4—6) PARIS

ვინც ფოსტის მარკას გამოგზავნის, დაწვრილებითი პირობები გაეგზავნება. (6—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Апрѣля 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ბ. ქარიფოვლიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.